საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №191

2012 წ. "28" 06

ქ. თბილისი

შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გეორგიასთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გეორგიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204859634) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სასტუმრო საქმისმწარმოებლი (*ინგლისურენოვანი*)	მესამე	მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი (*ინგლისურენოვანი*)	პირველი	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
3.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორი (*ინგლისურენოვანი*)	მეორე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCad) ოპერატორის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 28 ივნისის №15 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია